ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 310

23 ივლისი
"---"-------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვაკის პარკის მიერ დაკავებული 343887 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.10.002.084) 284 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ვაკის პარკის მიერ დაკავებული 343887 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.14.10.002.084) 284 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 7 ივლისის №21.936.1070 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ვაკის პარკის მიერ დაკავებული 343887 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.10.002.084) 284 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გივი გორდაძისთვის (პ/ნ. 01010003118) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 51120 (ორმოცდათერთმეტი ათას ას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე